აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის წინამძღვარმა მტკიცე მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 16.08.2023. აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის წინამძღვარი, უწმინდესი კათოლიკოს-პატრიარქი მარ ავა III, **2023 წლის 7 აგვისტოს** ერბილში (ერაყი) შეხვდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას და ერბილში რუსეთის ფედერაციის გენერალურ კონსულს მ.ო. რუბინს, სადაც ღრმა შეშფოთება გამოთქვა უკრაინაში შექმნილი სიტუაციისა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებისა და მორწმუნეების მიმართ დისკრიმინაციის გახშირებული ფაქტების გამო.

ასურელი ქრისტიანების მეთაურმა თქვა, რომ ის „შეშფოთებით ადევნებს თვალს კიევ-პეჩერის ლავრის ირგვლივ განვითარებულ უახლეს მოვლენებს“ და „წუხს ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანის ბედზე“.

„უკრაინის მიწიდან მოსული ცნობები ჩემს გულში მწვავე ტკივილს იწვევს. ჩემს თანამოძმე-მღვდელთმთავრებთან, საეკლესიო დასსთან და მორწმუნეებთან ერთად ვუცხადებდით, ვუცხადებთ და მომავალშიც გამოვუცხადებთ ღრმა და გულწრფელ სოლიდარობას ჩემს საყვარელ ძმას უწმინდეს პატრიარქ კირილეს, ასევე უკრაინელი მართლმადიდებელი ხალხის სულიერ მეთაურს, უნეტარეს მიტროპოლიტ ონოფრეს და მთელ მის ერთგულ სამწყსოს“, – აღნიშნა, კერძოდ, აღმოსავლეთის ასურეთის ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქმა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90629/